ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #8

2022 წელი 6 მაისი 11.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ა.ხუჯაძე,
გ.ტყემალაძე, მ.ზაქარიაშვილი,
ც.კობერიძე, ა.რატიშვილი,
გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიების წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (N12-0322123117-03 04.05.2022წ.)

მოისმინეს:

კომისიების წევრებმა დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილება განიხილეს, რომელიც მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ წარადგინეს. მათი ინფორმაციით, ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 154,5 ათასი ლარით და 1 392 233,5 ათას ლარს შეადგენს.

ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 154,5 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 154,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 392 233,5 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონების გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ასიგნებები – 28 253,6 ათასი ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 154,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 1029,7 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება - 465,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია ევროკავშირთან საგრანტო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, კერძოდ „ადგილობრივი სტარტაპების აქსელერაციის პროგრამა“,„ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის ექსპორტის მხარდაჭერა“ და სხვა, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) ქვეპროგრამის ასიგნებები – 80,0 ათასი ლარით, ქალაქ თბილისის საკრებულოს ასიგნებები (კოდი 10 01) – 200,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 3 120,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - სპორტი უფროსი თაობისთვის (კოდი 08 06 07) 76,8 ათასი ლარის ოდენობით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 1029,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) ქვეპროგრამის ასიგნება – 40,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნება - 325,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 140,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) ქვეპროგრამის ასიგნება – 40,0 ათასი ლარით, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 28 253,6 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 76,8 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება III ფაზა (კოდი 10 25) პროგრამის ასიგნება - 3 120,0 ათასი ლარით და თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 1042) – 200,0 ათასი ლარით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 317 454,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 242 354,0 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 757 869,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 174 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 20 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 547 869,4 ათასი ლარი. გრანტები 269 886,3 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,3 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 225 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 43 500,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 214 598,3 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 59 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 50 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 11 022,3 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 38 576,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 392 233,5 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 016 166,1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 355 636,8 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 20 430,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 226 187,9 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 280 636,8 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 355 636,8 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 75 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (74 879,5) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 74 879,5 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 74 779,5 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (20 430,6) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 20 430,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 54 448,9 ათასი ლარით;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო

ურთიერთობების კომისიამ (წერილი #12-0322123117-03 04.05.2022წ.) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე